ეროვნული ბიბლიოთეკა




**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 240 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 240

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზე ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



**ევგენი იოსების ძე კერესელიძე, ლევან, გიორგი, ვახტანგ და ელენე მათის ძენი კერესელიძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა—პირველი რძლისას, ხოლო მეორენი—დედისას

**მარიამ ივანეს ასულის კერესელიძისას**

და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ ს. მეჯვრისხევს 21 ოკდომბერს, დილის 9 საათზე, საიდამაც მიცვალებულს გაასვენებენ დასაკრძალავად ს. ახრასში.

---

## სამკერვალო

### ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობ ქალთა ტანისამოსს

**შ ე ს ა კ ე რ ა დ**

**ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა და სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ანა მერკვილაძისა.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ოთხშაბათს, 20 ოკდომბერს,

გაიმართება ქართულ დრამატილ საზოგადოების-მიერ ქართული წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქმნება

**ხალხის მტერი**

ანუ

ექიმი შტოკმანი.

დრ. 5 მ. იბსენისა, თარგ. ბოლქუმორდვინოვისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

---

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

ხუთშაბათს, 21 ოკდომბერს,

წარმოდგენილი იქნება

**ქიზნ ზა ცარია**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა გლინკასი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

---

პარასკევს, 22 ოკდომბერს, წარმოდგენა არ გაიმართება.

---

შაბათს, 23 ოკდომბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქმნება

**ნ ე რ ო ნ ი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა რუბინშტეინისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად M-lle **ფიფი**, 1 მოქმ., მუსიკა ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელდერი.

---

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**„ჯეჯილი"**

ძველი პროგრამით ❀ იმავე რედაქტორობით

წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

---

წარმოდგენა № 2.

**სახაზინო თეატრი**

ოთხშაბათს, 20 ოკდომბერს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ დასის-მიერ

წარმოდგენილი იქმნება

**ხალხის მტერი**

ანუ

**ექიმი შტოკმანი**

დრამა 5 მოქმ. ჰ. იბსენისა, თარგ. ბოლქუმორდვინოვისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**მზადდება წარმოსადგენად:** «იულიოს კეისარი», «ახალი მოძღვრება», «ღალატი».

ამხანაგობის დირექცია.

მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აველტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**მ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ლ ა მ ო ო ბ ი თ:**

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ხ. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი ქ. **ბძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**ბძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოფისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლღას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.


---

# ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

ჩვენი სამხედრო მეზღვაურობა. ამ გამწვავებულ დროსაო—ამბობს საზღვაო მიმომხილველი გაზეთ „რუსსკია ვედომოსტ"-ისა ბ-ნი ვ. მ.,—ნათლად აღმოჩნდა მთელი არარაობა ჩვენის სამხედრო მეზღვაურობისა, რომელიც გარეგნობით აყვავებული მიგვაჩნდა. 1882 წელს შევადგინეთ ვრცელი გეგმა ფლოტის გასაძლიერებლად. მას აქეთ თითქმის ერთი ხუთად ვაქციეთ საზღვაო გემების ხარჯი და ეხლა წელიწადში ეს საქმე გვიჯდება ას თექვსმეტი მილიონი მანეთი. უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში სამხედრო ფლოტს მოვახმარეთ ათას ხუთასი მილიონი მანეთი და მაინც ვერ შევისრულეთ ის განზრახვა, რომლის გულისთვისაც ამოდენა სიმდიდრე დავღუპეთ. ჩვენ გვეწადა ხელშეუხებლად გვექცია ჩვენის ზღვის პირის მიჯნები და, ღმერთმა კი დაგვიხსნას, ომი რომ მოგვიხდეს მეზობლებთან, ამ მიჯნებსა და ზღვასთან მდებარე ქალაქებს ვერც კი შევიმაგრებთ, არა თუ ისეთი ძალა მოგვეპოვებინა, რომ ბალტიის ზღვაზედ შევქმნილიყავით ვისთვისმე საშიშ სახელმწიფოთაო. ვიდრე დიდ ოკეანეში არ გაგვეგზავნა ჩვენი ესკადრა, კიდევ რამე ძლიერებას წარმოვადგენდით; მაგრამ რაც 1895 წლიდამ ახალ საპოლიტიკო საქმეებს წავატანეთ ხელი და თავი უნდა გვეჩინა შორეულ აღმოსავლეთში, მას აქეთ სრულებით შეიცვალა სურათი. უმთავრესი სამხედრო ძალა და უკეთესი გემები პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკს ვანაცვალეთ და უმდარესი დავიტოვეთ ბალტიის ზღვაზედ. ეხლა აქედამაც გამოვაკელით და, რის გაგზავნაც კი შეიძლებოდა, ისიც აღმოსავლეთს გავისტუმრეთ. დაგვრჩა მხოლოდ რამდენიმე ჯავშნიანი, რამდენიმე სათარეშო გემი და ნაღმოსანი, მაგრამ ეს ყოველივე ერთად წარმოადგენს ისეთს მცირე ძალას, რომ არამც თუ ვერას გვარგებს დიდ სახელმწიფოსთან საომარ დატაკებაში, თვით შვეცია-ნორვეგიაც კი დაგვძლევს ზღვაზედ, ომი რომ გამოგვიცხადოს. მართლაც, აი ანგარიში რას გვიჩვენებს. შეერთებულს შვეცია-ნორვეგიას აქვს 15 ერთგვარი პატარა ჯავშნიანი გემი, რომელნიც წარმოადგენენ სწორეთ თანამედროვე ჩინებულს ესკადრას 128 მძიმე ზარბაზნით. ესკადრა საათში 28 ვერსის მანძილს გაივლის. ჩვენ კი ბალტიის ზღვაზედ დაგვრჩა სულ ათი ჯავშნიანი გემი სხვა და სხვა გვარისა და წარმოადგენენ ისეთს ესკადრას, რომელსაც აქვს სულ 91 მძიმე ზარბაზანი და რომელიც საათში გაივლის მხოლოდ 24 ვერსს.

არც შავ ზღვაზედა ვართ ძრიელნი სამხედრო გემებით. ამ ათის წლის წინათ თუ მხოლოდ საფრანგეთისა და ინგლისის გემები იყო ჩვენთვის აქ საშიშო, დღეს ჩვენი ფლოტი ჩამოჰრჩა არა მარტო იტალიის ფლოტს, არამედ თვით ავსტრიისასაც კი. მართლაც, ეხლა ავსტრიასა აქვს 10 ჯავშნიანი ❀ 5 სათარეშო გემი, რომელზედაც უყენიათ 166 მძიმე ხარბაზანი; ჩვენ კი შავ ზღვაში მოგვეპოვება მხოლოდ რვა ჯავშნიანი და ერთიც სათარეშო გემი 120 მძიმე ზარბაზნით. გარდა ამისა, ავსტრიასა აქვს დუნაიზედ წვრილი სამხედრო გემები, ჩვენ კი ერთი კანონერკაც არ მოგვეპოვება ამ მდინარეზედ ასასვლელად. ერთის სიტყვით, ავსტრია და სათათრეთი რომ შეერთდნენ, ჩვენი შავის ზღვის ნავთსაყუდლები ძრიელ დიდს განსაცდელში ჩაცვივიან. ჩვენი ბედი, რომ ეხლა სრულებით მოსალოდნელი არ არის საევროპიო ომი, რომელსაც აღმოსავლეთის ომის გამო მარტო დიპლომატიაც ადვილად აიცდენს თავიდამ; მაგრამ საკვირველია, თუ კი დიპლომატიურის ხრიკებით შესაძლებელია ომის აცილება, მაშ რაღა საჭირო იყო იმოდენა უთვალავ საცხოვრებლის ჩაყრა ფლოტის გაძლიერებაზედ? საზღვაო გეგმას მალი-მალა ვცვლიდით და გვინდოდა უძლეველნი ვყოფილიყავით ბალტიკაზედაც, ბოსფორთანაც და დიდ ოკეანზედაც. ასეთ ცვალებად გეგმის შედეგი ხომ ეხლა ყველასთვის ცხადია. (რუს. ვედ.).

—

ინგლისის მეფე ედუარდ VII და მშვიდობიანობა. ინგლისის გაზეთები კვლავ ბეჯითად ლაპარაკობენ, რომ მეფე ედუარდს გადაწყვეტილი აქვს ჩაერიოს რუსეთ-იაპონიის შერიგების საქმეშიო. ამავე აზრისანი არიან ლონდონის მეთაური პოლიტიკოსნი. სარწმუნო კაცები ამტკიცებენ, ვითომც მეფე ედუარდს უკვე დაევალებინოს ინგლისის ტოკიოელ წარმომადგენელისათვის, შეიტყოს, რა პირობებზედ დასთანახმდება იაპონია, რომ შეურიგდეს რუსეთსაო. ამავე დროს ედუარდმა ვითომც მიჰმართა გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს წერილით და სთხოვა გაიგოს რუსეთისაგან, რანაირ სამშვიდობო პირობებს მიიღებს იგიო. მეფე ედუარდის მისწრაფებაში მონაწილეობას არ მიიღებს ინგლისის მთავრობა, იგი სრულებით განზედ იდგება, ვიდრე მას რომელიმე მეომარი მხარე თვითონ არ მიჰმართავს სათანადო თხოვნით. ედუარდი თავისითა კისრულობს ამ საკეთილო საქმეს და უნდა პირადის მეგობრობით იმოქმედოს მოწინააღმდეგეებზედაო. (პეტერ. ვედ.).

—

მოხელე დედა-კაცები. გაზეთ «რუს»-ს ვლადივოსტოკიდამ დეპეშით აცნობებენ, რომ იაპონიაში იძულებულნი არიან ყოველსავე რკინის გზის სამოხელეო თანამდებობაზედ დანიშნონ დედა-კაცები რადგან მამაკაცები სულ ომში არიან გაწვეულნიო.

—

პორტ-არტურის ბედი. იმავ გაზეთს აცნობებენ ჩიფუდამ: ალყაშემორტყმულ ქალაქიდამ მოსულნი ერთხმად ირწმუნებიან, ვითომც იაპონელებს გარდაეწყვიტოთ უექველად აიღონ პორტ-არტური ამ თვის გასვლამდეო. (რუს.),

# ახალი ამბავი

—

**სასიხარულო ამბავი.** «რიგის ვედომოსტებს» სწერენ პეტერბურგიდან, რომ გარდაწყვეტილია შემოიღონ რუსეთში ისევ 1864 წელს გამოცემული საერობო დაწესებულებათა დებულება. აგრეთვე გარდაწყვეტილია, თუ ეს დებულება შემოღებულ იქმნა რუსეთში, შემოიღონ ესევე დებულება რუსეთის დასავლეთ მხარეშიაც, იმ ერობის მაგიერ, რომელიც ახლა იქ მოქმედობს და რომელსაც ერთმა მაღალ-ხარისხოვანმა კაცმა დაარქვა «ჭლექიანი» ერობა. შესაძლებელია, რომ იმავ დროსვე ბალტიის ზღვის პირას მდებარე გუბერნიებშიაც განახლდეს საერობო წყობილება, რაკი ახლანდელი დრო სწორედ მოხერხებულია.

«ხმა დადის—დასძენს რიგის გაზეთი—რომ ადგილობრივ თავად-აზნაურობის წრეებში გარდაწყვეტილია, თვითონ თავად-აზნაურობამ აღძრას ამის შესახებ შუამდგომლობა და არ უცადოს, როდის მისცემენ წინადადებას ზევიდან. ამგვარს განზრახვას, რასაკვირველია, უნდა თანავუგრძნოთ».

ვისაც ყური აქვსთ სმენად,—ისმინონ.

*** **სიღარიბის მსხვერპლნი.** გუშინწინ, 18 ოკდომბერს, ტფილისის სამხატვრო სასწავლებლიდგან, სწავლის ფასის შეუტანლობისა გამო, დაითხოვეს ოცდასამი (23) მოწაფე, მათ შორის რვა ქართველია: ს. ინწკირველი, სარალიძე, (ორივე მეოთხე კლასიდგან), გებრაძე, პაიჭაძე (მესამიდგან), რატიანი, ტრაპაიძე (მეორიდგან) ხოლ ოორის გვარი ვერ გავიგეთ.

*** **მთავარ-მართებლის** თანამდებობის აღმასრულებელი ა. ფრეზე დღეს, 20 ოკდომბერს, ნაშუადღევის 1 საათ. სამსახურის საქმეთა წარმომადგენლებსა და კერძო მთხოვნელთ მიიღებს კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის სადგომში, ლაბორატორიის ქუჩაზედ, № 8.

*** **ხარფუხის სკოლის კურთხევა.** ორშაბათს, 18 ოკდომბერს, ექსარხოსმა ალექსიმ აკურთხა ხარფუხის სკოლის შენობა. ეს სკოლა რამდენიმე წელიწადია დააარსა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ნამყოფმა, აწ სარატოვის ეპისკოპოსმა, გერმოგენმა. სკოლა დაარსებულ იქმნა მეფე ირაკლის სახელობაზედ. წელს შენობა სკოლისა გააფართოვეს და სასწავლებელს ერთი კლასი მოუმატეს. ამრიგად, ხარფუხის სკოლა გადაკეთებულ იქმნა ორ კლასიანად. კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო. კურთხევის შემდეგ ხარფუხის ეკლესიის მღვდელმა ბ-ნ. კონტრიძემ დროს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა... სკოლა ამ ჟამად აღარ ატარებს სახელს ირაკლი მეფისას, არ ვიცით, რად?

*** **სადღესასწ. წარმოდგენა რკინის გზის თეატრში.** მომავალ კვირას, გიორგი ერისთავის ხსენების პატივსაცემლად, ავჭალის სახალხო სცენის მოყვარულნი სადღესასწაულო წარმოდგენას გამართავენ რკინის გზის სახელოსნოების თეატრში.

*** **ხოლერა.** ოფიციალურის ცნობებით, 15 ოკდომბერს ბაქოში ხოლერით არავინ გამხდარა ავად და არც წინანდელ ავადმყოფთაგან მომკვდარა ვინმე; 16 ოკდომბერს ავად გაჰხდა 3 კაცი, ხოლო არავინ მომკვდარა. ბალახანაში ამ დღეს ავად გახდა 7 კაცი, მოკვდა—4; შემახის მაზრის სოფ. გიურჯივანში **2-დგან 15**

ოკდომბრამდე ავ დ გამხდარა საეჭვო ხოლერით და მომკვდარა 5 კაცი. ერევნის გუბერნიის ნახიჩევანის მაზრის სოფ. კიზილვანკში ხოლერით ავად გამხდარა 16 ოკდომბრამდე 15 კაცი, რკინის გზის მუშები, მომკვდარა—4. ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ხოლერის გაჩენის ამბავი კი არა მტკიცდება.

*** **ტფილ. მოქალაქეთა საზოგადოებაში.** სამეურნეო საზოგადოების სადგომში დღეს, 20 ოკდომბერს, საზოგადო კრება ექმნებათ ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოების რწმუნებულთ: კრებამ უნდა განიხილოს, სხვათა შორის, დარჩენილ გადასახადთა პატიების საქმე (32,000 მან.).

*** **ომში დაჭრილი.** შორეულ აღმოსავლეთში ბრძოლის ველზედ დაუჭრიათ, სხვათა შორის, სამარის მე-47 პოლკის პოდპოლკოვნიკი თავ. ვლადიმერ გაბრიელის ძე მაყაშვილი.

*** **სასწავლებლების უქონლობა.** ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანმა თავ. ვლ. ს. მიქელაძემ განცხადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომელშიაც ის აღნიშნავს, რომ ტფილისის ზოგიერთ უმთავრეს უბნებში სასწავლებლები არ არის და მცხოვრებნი ძალაუნებურად პირველ-დაწყებით სკოლებით კმაყოფილდებიანო. სასწავლებელთა უქონლობაში პირველი ადგილი ავლაბარს უჭირავს, სადაც ოცდა ათი ათასი მცხოვრებია, და ტფილისის შუაგულში მდებარე სასწავლებლებით კი ვერ სარგებლობენო. ამის გამო თავ. ვ. ს. მიქელაძეს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, იშუამგომლონ, რომ ტფილისის მეორე სავაჟო გიმნაზიის ოთხი პარალელური გიმნაზიური კლასი დაარსდეს ავლაბარში ორის მოსამზადებელის კლასით. რადგანაც ქალაქის მხრით ნივთიერად დაუხმარებლად ამ აზრის განხორციელება არ შეიძლებაო,—ამბობს განცხადებაში ხმოსანი მიქელაძე,—გთხოვთ ჩემი განცხადება იმის შესახებ, რომ გადაიდოს ყოველ წლივ ამ საქმისთვის 10,000 მ., საბჭოს წარუდგინოთ განსახილველადო. ხმოსნის აზრით, ამ ფულის გადადება საჭიროა მომავალ 1905 წლიდგან, რომ იქნება მოესწროს მომავალ სამოსწავლო წლისთვის ავლაბარში კლასების დაარსება.

*** **ახალი აპარატები.** ტფილისის ქალაქის გამგეობამ ბერლინში შეუკვეთა «ლიუკატორის» სისტემის აპარატები ქალაქის ქუჩების გასაწმენდად.

*** **სარგებლიან ქაღალდების გაყიდვა.** ქალაქის გამგეობამ უკანასკნელს კრებაზედ დაადგინა, რადგანაც დარიბთათვის სახლი შენდება და ფულის გადასახდელად სხვა წყარო არა გაქვს-რა, გაყიდოთ ნ. ე. ზუბალაშვილის ს[illegible]დგან 4% სახელმწიფო რენტა—25,000 მან.

*** **ჯარში [illegible] შემოწმება.** ტფილისის ს[illegible] ბეგრის საკრებულომ დაამთავრა იმ ყმაწვილ კაცთა სიების გადათვალიერება, ვისაც კენჭი უყარეს 16 და 17 ამ თვეს. წელს სულ ირიცხებოდა ამ სიებში 645 ყმაწვილი კაცი. ამათგან ქრისტიანი აღმოჩნდა 619, ებრაელი—21 და მაჰმადიანი—5. პირველ ხარისხის შეღავათი ამ 645 ყმაწვილ-კაცში მიეცათ 213, მეორესი—43, ხოლო მესამე ხარისხის შეღავათი—39. უშეღავათო სულ 250 კაცია. ჯარში უნდა გაიყვანონ 359. გუშინ წინ, უპირველეს ყოვლისა, გასინჯეს ექიმებმა 32 კაცი იმათგანი, რომელნიც შარშან უნდა წაეყვანათ ჯარში, მაგრამ წლევანდელამდის მიეცათ ვადა, და წლევანდელ გაწვეულთაგან გასინჯეს მხოლოდ ებრაელნი. შარშან გაწვეულთაგან წელს უნდა გაესინჯათ სულ 46 კაცი, გასინჯეს 32, კიდევ დარჩა გასასინჯი 14.

*** **ყაჩაღთა თარეშობა.** როგორც შულავერიდან «ცნ. ფურც.»-ს ატყობინებენ 10 ოკდომბერს სწრაფ-მსროლელ თოფებით შეიარაღებული ყაჩაღთა ბრბო, რომელიც 10 კაცისაგან შესდგებოდა, კირასახთან (გუმბრის მაზრა) თავს დაესხა ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთ, რომელნიც ალექსანდრეპოლიდან ბრუნდებოდნენ, და გაძარცვეს.

*** **მკვლელობა.** გურიიდგან გვატყობინებენ, რომ გურიანთის საზოგადოებაში ამ დღეებში ვიღასაც მოუკლავს ადგილობრივ მემამულის გ. ჯაყელის ტყის მცველი მოქია.

*** **ნავთის შადრევანის აღმოხეთქა.** გაზ. «კავკასს» დეპეშით ატყობინებენ ბაქოდგან, რომ 17 ოკდომბერს ბიბი-ეიბათის ნავთის წყაროებზედ, 316 საჟენზედ, სახაზინო ადგილში, აღმოუხეთქია წმინდა ნავთის შადრევანს, რომელიც დღე და ღამეში 300,000 ფუთს წმინდა ნავთს იძლევაო.

*** **მამასახლისის არჩევნები გორში.** დღეს, 20 ოკდომბერს, გორში დანიშნულია კრება გორის თვითმმართველობის რწმუნებულთა, რომელთაც უნდა ამოირჩიონ ქალაქის მამასახლისი, რადგანაც ბ-ნმა ანჯელო ანდრონიკაშვილმა სამსახურს თავი დაანება.

## საქართველო

**ჭიათურა. ცოცხალის საქონლით მოვაჭრე.** დალოცვილს ჩვენს ჭიათურაში უცხო და ახალი ამბები გამოულევლია ხოლმე. რა არ გნებავთ აქ გაიგონოთ და ნახოთ? მაგალითად, ერთი აქაური მანდილოსანთაგანი გაემგზავრა მახლობელს სოფლებში იმ აზრით, რომ ჭიათურაში მოტყუილებით ჩამოეყვანა სავაჭროდ ქალები.

იფიქრა თუ არა, საწადელსაც მიაღწია და ორი ქალი—ქვრივი და ერთიც ქალწული—დედა და შვილი ჩამოიყვანა იმ პირობით, რომ დედა უნდა მსახურებოდა სიკვდილამდის და შვილი კი, ცოტა ხნის შემდეგ, უნდა გაეთხოვებინა. რასაკვირველია, ასეთის ნუგეშით და ტკბილის სიტყვებით ამ ჩვენს დაცარულს დროში ადვილადაც მოისყიდიდა ყოვლის მხრით შევიწროებულს ადამიანს. მით უმეტეს, რომ საქართველოს ზოგიერთ სოფლებში შიმშილობაა გაჩენილი და კვლავადაც მეტს მოელიან, ამისათვის ყოველ-ღონისძიებას ხმარობს, ქალია თუ კაცი, რომ დასტოვოს საკუთარი კერა, თავის ნაცნობ-ნათესავები, რომელიც ძვირფასად მიაჩნია ყველა ადამიანს, რა წოდებისა და სარწმუნოებისაც უნდა იყვეს იგი, და მონახოს ისეთი თავ-შესაფარი, სადაც, ასე თუ ისე, გამოიკვებოს თავი.

სწორედ ასეთ გაჭირვებაში ჩავარდნილი ორი ქალი ჩამოიყვანა ზემოდ დასახელებულმა მანდილოსანმა თავისს ბინაზედ, სადაც ამავე საღამოს გულ-უხვობითა და ადამიანურის გრძნობით გაუპასპინძლდა მოტყუილებულებს. ამ საცოდავებმაც, როგორც მოგეხსენება, მკითხველო, ჩვენის ღარიბ ხალხის ამბავი, ღვთისაგან მოვლენილ სასწაულად მიიჩნიეს ასეთი შემთხვევა. იმ ღამესვე მასპინძელ ქალმა ჩამოყვანილს დედასა და ქალს მიუჩინა ცალკ-ცალკე ოთახი მოსასვენებლად; თუმცა კი ეუცხოვათ ასეთი უცნაური განცალკევება, მაგრამ ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილნენ მასპინძელს.

დადგა თუ არა შუა ღამე, დაჩვეული «მუშტარი», რასაკვირველია მასპინძელის თანხმობით, შეიპრნენ ღვინით გალეშილნი იმ ოთახში, სადაც დედა დ შვილი იწვნენ. ასტყდა ერთი აურ-ზაური დ გამოურკვეველ ხმაურობაში ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაისმოდა ქალების ხვეწნა-კივილი. მეორე ოთახში შესული მასპინძელი ქალი და წყნარით მიუმართავს ქალებისათვის: «რას ომობ, დაია, ხომ იცით, სხვის სახლში იმყოფებით და თქვენი ბედ-იღბალი უკვე ჩემს ხელშია. ისევ ისა სჯობია, დამშვიდდეთ. აი, ფულები (უჩვენა ხელით); სწორედ ამაშია ამ ქვეყნის ცხოვრებაც და იმ ქვეყნის ცხონებაც. თქვენც, ერთი-ორის წლის შემდეგ, ვინ იცის, იქნებ ჩემზედ უფრო შეძლებული შეიქმნეთ!» ასეთის სიტყვებით ანუგეშებდა თურმე მასპინძელი მოტყუილებულ ქალებს, რომელნიც სრულს უარზედ იდგნენ და ღაპალუპით გადმოსდიოდათ ცრემლები! ბოლოს, გათენებისას, როგორც იყო, საბრალო დედა შვილს თავი დაუღწევიათ მტირალეს ხელიდან და სახე დასივებულ-დალურჯებულნი და შეურაცხყოფილნი მიეშურებოდნენ უკან სოფელში. ასეთი ამბები ხშირათა ხდება ჩვენში, მაგრამ ვინ არის ყურის მგდებელი?...

გ. ხანელი.

## ქართულ თეატრის გაჭირვება

ქართულის თეატრის გაჭირვებული, სახიფათო მდგომარეობა ამ ჟამად დიდ დღიურს ვარმად უნდა ჩაითვალოს. ხიფათი ემუქრება არა მარტო თეატრის წარმატებას და აყვავებას, არამედ თვით მისს არსებობას. ეს ხიფათი იმის გამო დაიბადა უმთავრესად, რომ ქართული თეატრის შენობა ალაგ-ალაგ გაირღვა, გაირღვა იმდენად, რომ ჩამოქცევა მოსალოდნელია, და მაშასადამე, მასში წარმოდგენების გამართვა ყოვლად შეუძლებელია.

თვითონ ეს დარღვევა მეტის მეტად სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს უფრო იმის გამო, რომ ძლიერ ხმა მაღლა გაჰკივის ჩვენს უთავობაზე, დაუდევრობასა და გულგრილობაზე. ამ თეატრის ადგილის წინად იდგა არწრუნისეული თეატრი, ჯერედ კიდევ ახალი და მკვიდრად აშენებული. მართალია, იგი იყო მომცრო, მაგრამ ქართული ჩვეულებრივი წარმოდგენებისათვის სრულიად საკმარისი. თეატრის მოყვარული ქართველობა მასში თავისუფლად თავსდებოდა და ახლო მომავალშიც მოთავსდებოდა. სადღესასწაულო წარმოდგენები კი შეგვეძლო გაგვემართა სახაზინო თეატრში, ან არტისტიულში.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ქართველ კაცსა, და მეტადრე ბრწყინვალეს, ფული ძლიერა სძულს, და თუ ბრმა ბედმა ჯიბეში ფული გაუჩინა, არ მოისვენებს, ვიდრე თავიდგან არ მოიშორებს და ჯიბეს არ დაიცარიელებს. აქაც ასე მოხდა. აქაო და სათავად-აზნაურო ბანკი დიდს შემოსავალს იძლევაო, ადგნენ, პატარა მკვიდრი თეატრი დააქციეს და სამაგიეროდ ააგეს ფართო სათეატრო შენობა, რომელშიაც 200,000 მანათზე მეტი დახარჯეს. სწორედ ბრწყინვალე ხარჯი გაიღეს. მაგრამ თვითონ შენობა კი რაღაც დევერხანა გამოდგა. წარმოდგენის დროს ქარი ისე ქშუტუნობდა, როგორც დილმის მინდორში, და აფრთხობდა საზოგადოებასა. სხვათა შორის განსვენებულ თავადის ვახტანგ ორბელიანისაგან გამიგონია შემდეგი სიტყვები: დიდი სურვილი მაქვს ქართულს წარმოდგენებს დავესწრო ხოლმე, მაგრამ ეს დასწრება ძვირად მიჯდება: ვცივდები ყოველთვის და ავად ვხდები, რის გამო იძულებული შევიქენი ფეხი ამოვიკვეთო ქართულს თეატრში.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ქართველი მომთმენია და ჭირის შეჩვევა იცის. შეეჩვია ამ ქარის ქშუტუნსაც; მაგრამ ჩქარა სხვა გვარი სენი გამოაჩნდა ძვირფასს შენობასა: მეორ-მესამე წლიდგან ზემო კედლებმა დარღვევა იწყო, და თუმცა დარღვეული კედლები ბევრგან შებოჭეს რკინებითა, მაინც დარღვევა ვერ შეაყენეს, ასე რომ ამ ჟამად გარღვეული კედლები დაშორებული არის ერთმანეთზე ხუთი ვერშოკით და პატარა ბალღს თავისუფლად შეუძლიან მათშუა გაძრომა.

ფრიად საინტერესოა ვიცოდეთ, რომელის ბრწყინვალე ხელის და ბრწყინვალე თავის მადლიერი უნდა იყოს ქართველი საზოგადოება ამისთანა სამარცხვინო თეატრის აშენებისათვის? ოცი ათასი თუმნის დაკარგვა მდიდარი საზოგადოებისათვისაც საგრძნობელია და ღარიბი ქართველებისათვის ხომ უმძიმეს დანაკარგს წარმოადგენს.

ასეა თუ ისე, ჩვენი სათეატრო დასი ჩავაგდეთ სწორედ იმ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებიან ბოგანო გლეხები, რომელთაც საკუთარი კერა არ გააჩნიათ. ძველი ბინა მოვუშალეთ, ახალ ბინაშიაც წარმოდგენა შეუძლებელია, რადგანაც დარღვეულს თეატრში მხოლოდ ის შევა. ვისაც სიცოცხლე მოძულებული აქვს, დაგვრჩა მთელი დასი უბინაოდ, უკეროდ, ქუჩის ამარა. იგი იძულებული იყო მისდგომოდა კარზე სახაზინო თეატრს და შეჰხვეწნოდა: საქართველო ხალხით გაჭიკნილია, თავისუფალი ადგილი არ მოიპოვება; მაგრამ რუსის მუციკებისათვის მაინც შოულობენ ადგილს და რუსეთიდგან მუქთად ასახლებენ ჩვენში. სახაზინო თეატრი ნახევრობით ცარიელია ყველა წარმოდგენის დროსა და კვირაში ერთი საღამო მაინც დაგვითმეთო; კარგიო, უთხრეს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ სამჯერ მეტი ქირა უნდა გვაძლიოთ, ვიდრე ჩვენ ვიხდითო, ესე იგი ოცდაათ თუმნამდეო.

## ფელეტონი

### თხზულებანი ია ეკალაძისა *).

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც გამოვიდა ცალკე წიგნად ბ-ნ ია ეკალაძის თხზულებათა კრებული, რაიცა შეიცავს მთელის ათის წლის მის ლიტერატურულ მოღვაწეობას ქართულის ლიტერატურის ასპარეზზე. გამოსვლისათანავე მიიქცია წიგნმა ყურადღება და მის შესახებ დაიბეჭდა წერილები, «ცნობის ფურცელში» ბ-ნ კალმისა, სათაურით: «ჩვენებური ინტელიგენცია» (იხ. «ცნობ. ფურ.» ამ წლის №№ 2550, 2557, 2564 და 2571) და ზანგისა («ცნ. ფურც.» ფელეტონი № 2589) პირველი, ე. ი. ბ. კალამი, კრიტიკულად არ არჩევს ია ეკალაძის თხზულებებს, არ აღნიშნავს მის ღირსება-ნაკლულევანებას, თუ რამდენად ღრმად იხედება ცხოვრებაში, როგორ ხატავს თავის გმირებს ბ-ნი ეკალაძე, ან როგორია მხატვრული მისი ნიჭი და სხვ., ის ეხება მხოლოდ ერთ მხარეს და ახასიათებს ბ-ნ ეკალაძისაგან გამოყვანილ გმირების საშუალებით ჩვენებურ ინტელიგენციის უძლურებას და არარაობას, რომ ის (ინტელიგენცია) უმოქმედოა, უპრინციპო, მხდალი, ლაჩარი, გაუბედავი, მოკლებული ნების სიმტკიცეს და ადამიანურ თავმოყვარეობას. მეორე, ე. ი. ზანგი, კრიტიკულად არჩევს ვითომ ყოველ მხრივათ და თვისის მოკლე კრიტიკულ შენიშვნებით ერთის კალმის მოსმით მიწასთან ასწორებს ეკალაძის თხზულებებს და ვერც ერთ ღირს-შესანიშნავ მხარეს სასარგებლოს ვერ ჰპოვებს მათში. არ ეთანხმება ბ-ნ კალამს იმაში, ვითომც შესაძლებელი იყოს ეკალაძის ნაწერებით დასურათება ჩვენებურის ინტელიგენციისა, ვითარცა უმოქმედოსი, უშნოსი და ძალგამოლეულისა, რადგანაც ეკალაძის ინტელიგენტნი არ არიან სინამდვილიდან გადაღებულნი და როგორც ასეთნი, ისინი სულ სხვა კატეგორიას წარმოადგენენ და ნამდვილის ცხოვრების ჩვენებური ინტელიგენცია და მისი უძლურება აქ არაფერ შუაშია. ბ-ნ ზანგის სიტყვით, მთელი თხზულებანი ეკალაძისა უმნიშვნელო ნაწარმოებს წარმოადგენს, გარდა ერთის ესკიზისა («სიკვდ ოჯახობა»), რომელიც ნამდვილის ცხოვრებიდან არის აღებული და რომელიც, რასაკვირველია, „ავტორს ბელეტრისტის სახელს ვერ შესძენს“, და და ეს იმიტომ, რომ ეკალაძეს არ შეუძლიან კონკრეტულის სურათის დახატვა, მას ფანტაზია ხელს არ უწყობს გამოიგონოს მოქმედება და შეუფარდოს გრძნობას საქმე, ორგანიულად ახლავს მის კალამს ნაკლულევანება და ღირსება კი არსად სჩანს, მისი ფანტაზია იმდენად ღარიბია, რომ აუცილებლად დაჰყვება თან მრავალ-სიტყვაობა და ფრაზეოლოგია, ეს კი ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს მკითხველზე, მას არ უწყობს წერაში ხელს ფანტაზიის შემოქმედებითი ნიჭი, ერთის სიტყვით, არაფერი სახეირო არ დარჩა, არავითარი სარგებლობა, გარდა უმნიშვნელობისა, უშინაარსობისა. ბ-ნ ზანგს ძლიერ სამწუხაროდ მიაჩნია, თუ ჩვენის საზოგადოების ერთი ნაწილი, ე. ი. მშრომელი ხალხი, ეტანება ეკალაძის ნაწერებს, აფასებს, კითხულობს და უყვარს იგინი, ყველა ეს, ზანგის სიტყვით, ამტკიცებს მშრომელ ხალხის გემოვნების სიწამხდრეს და გაფუჭებას. აი მოკლეთ ამნაირად შეეხნენ ეს ორი მწერალნი, ბ-ნნი კალამი და ზანგი, ეკალაძის თხზულებებს, და ჩვენც საჭიროდ ვსცანით ამავე საგანზე ამოვიღოთ ხმა და ორიოდე სიტყვით გავაცნოთ „ივერიის“ პატივცემულ მკითხველებს ჩვენი შეხედულება ბ-ნ ეკალაძის თხზულებათა შესახებ.

ამბობენ, ლიტერატურა ამა თუ იმ ერისა სარკეა ცხოვრებისაო. მგონი არც ერთის კულტურულ ერის ლიტერატურა ისე ნაკლებად არ შეეფერება ამ როლს, როგორც ქართული, არსად არც ერთის ევროპიელის ერის ლიტერატურა ისე უშინაარსო, სინამდვილესთან შეუფერებელი და ღატაკი არაა, როგორც ქართული, არც ერთში მგონი (რამდენადაც გაგვიგონია ან წაგვიკითხავს რუსულის ენის საშუალებით) იმდენი, იმდენი უსარგებლო «ლიტერატორი» არაა, რამდენიც ქართულში და არსად ისე სუსტი და გადევნილი არ უნდა იყოს ლიტერატურული კრიტიკა, როგორცაა ქართულში, და თუ ჯერ კიდევ მე-40 წლებში რუსეთის შესანიშნავი კრიტიკოსი ბელინსკი ამბობდა მაშინდელ რუსეთის ლიტერატურის ყოფნა-არ-ყოფნის შესახებ და კატეგორიულადვე უპასუხებდა: „ჩვენ არ გვაქვს ლიტერატურაო“, მგონი ეს სიტყვები შესანიშნავის მოღვაწისა, სავსებით თუ არა, უმთავრესად მაინც შეეფერება დღეს დღევანდელ ჩვენ ქართულ ლიტერატურას, რომლის წმიდა სარბიელზედაც ასე ბლომად და ასე რიხიანად გამოილაშქრებენ ხოლმე ქართველი «ლიტერატორნი». ჩვენი ცხოვრებისა და კერძოდ ლიტერატურის საქმე ისეთ პირობებშია მომწყვდეული, რომ ალარავისათვის აღარაა სიფრთხილე, მორიდება, მომზადება და განათლება საჭირო, რომ გამოვიდეს და ესა თუ ის მაღალი პოზიცია დაიჭიროს, ესა თუ ის სახელი დაიმსახუროს; აქ იაფია ყველაფერი, «საზოგადო მოღვაწეობაც», „ლიტერატორობაც“, «დემოკრატობა» თუ «დასელობა» და სხვ. აქ შეუძლია ყველას ილაპარაკოს, როგორი სისულელეც უნდა, სწეროს, როგორც ეხერხება, ნაწერი გამოსცეს, ვისაც როგორი უნდა და სხ., ხოლო ბრძოლა და მოქმედება შინაარსიანი, საზოგადო სასარგებლო, შრომა საზოგადო ინტერესებისა და სინათლისაკენ მიმართული ასე ნაკლებობს, ასე ბოძიკობს; ეს კი უმთავრესად იმისი ბრალია, რომ ჩვენს ლიტერატურაში და ცხოვრებაში ფეხი ჯერ კიდევ მაგრათ ვერ მოუდგამს ცოცხალ საბუთიან სიტყვას, სიტყვას ღრმა მოსაზრებაზე დამყარებულს, ნაყოფიერ ნიადაგზე დათესილს, ფეხი ვერ მოუდგამს მრისხანე ცხოველ-მყოფელ კრიტიკას, კრიტიკას პირდაპირს, მოუფერებელს, გულახდილობის ნაყოფს და არა პირად სიმპატია-ანტიპატიაზე აგებულს და აი სწორეთ იქ, სადაც ცოცხალი სიტყვა ჯიქურის იერიშით არ მიდის წინ, სადაც არ ებრძვის უგუნურებას გონიერება, უმეცრებას მეცნიერება, სადაც გამეფებულია სრული ხაოსი, არეულ-დარეულია ლიტერატურა და ცხოვრება ისე, რომ ავი კარგისაგან ველარ გაგირჩევია, სადაც იდევნება პირდაპირი კრიტიკა, იქ მართლაც ლიტერატურა ისეთის მარგალიტების გროვას უნდა წარმოადგენდეს, როგორიცაა ქართული, და რომ ის ამ საფეხურს გადასცდეს, რომ მართლა ცხოვრების გამომხატველი და მაჩვენებელი სარკე შეიქმნეს, საჭიროა მისი გაწმენდა, გასპეტაკება; ის მარტო სახელით კი არა, შინაარსით უნდა ატარებდეს ლიტერატურის სახელს, ამისათვის კი ახალი ბელადებია საჭირო, ახალი ძალა. თავისის «სუსტის კრიტიკით» ბ-ნნი კალმები და ზანგები ვერ შესძლებენ ამ როლის ასრულებას, ეს მათს გონებრივ ძალ-ღონეს აღემატება, ამისათვის ჩვენის დროის ბელინსკები, პისარევები, დობროლიუბოვები და ჩერნიშევსკები არიან საჭირო, რომ დაჰკრან მედგრად ქართულ არარაობას, რომ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარონ ქართული ძილი და უმეცრება და ნაცვლად ცხოვრებაში შემოიტანონ მეტი სიცოცხლე, მეტი კრიტიკა, მეტი სინათლე! დიაღ, ჩვენის დროის ბელინსკის უცდის ქართული ლიტერატურა და თუ ეღირსა ის, მაშინ ვნახოთ, ჩვენნი „ლიტერატორნი“ როგორ შეძრწუნდებიან, ვნახოთ, «მოღვაწენი» როგორ აღშფოთდებიან და შიშისაგან თავზარ დაცემულნი სადღაც სოროებში მიიმალვიან!.. ამ სასტიკ მომავალ სამსჯავროს უცდის ქართული ლიტერატურა, ამ საშინელ განსაცდელს უნდა ელოდნენ ქართველი «მოღვაწენი», რა მიმართულებისაც უნდა იყვნენ ისინი, და ჯერ, კი სანამ ჩვენი ლიტერატურა მარტოკა სახელით არსებობს და არა იმდენათ შინაარსით, სადაც ამდენ უსარგებლო ყალბ ნაწარმოებს მოუყრია თავი და ბაზარზე მუშტარსაც შოულობს, იმ მუშტარს, რომელიც გულ უბრყვილოა, უმეცარი დ კრიტიკულ აზროვნებას მოკლებულია, სადაც მწერლის სახელით გამოდიან ისეთები, რომელთათვისაც განგებას შემოქმედებითი ნიჭი მწერლობისა არ მიუცია, თითონ საჭიროებენ ჯერ განვითარებას, გონების უმცრებისაგან განწმენდას და არ ასრულებენ თავის წმინდა მოვალეობას, რითაც გამხდარან უსარგებლო ზედმეტი ბარგი ქართულის ლიტერატურისათვის, ჩვენ მანამდე, ვამბობთ დ და ვიტყვით, რომ ქართველებს „არა გვაქვს ნამდვილი ლიტერატურა!“ ქართულის ლიტერატურის ასპარეზზე მომუშავეთა იმ ძლიერ მცირე ჯგუფს, რომელიც თავისის შრომით რამდენადმე მაინც

*) ვბეჭდავთ ამ წერილს უცვლელად და ამ მოკლე ხანში უფრო ვრცელს წერილს ვუძღვნით ბ-ნ ია ეკალაძის თხზულებათა განხილვას.

რედ.

თქვე დალოცვილებო, ქართულს წარმოდგენას ხშირად ოცდა ათი თუმანიც არ შემოაქვს და როგორ ვიხადოთ მაგოდენა ქირაო... როგორც გინდათ, ისე იხადეთო; ეგ რა ჩვენი საქმეაო...

მიადგნენ არტისტიულ თეატრს ჩვენი მსახიობნი. იქ უფრო მეზობლური პასუხი მისცეს: ორმოც თუმანს ფეხს ვერ მოვუცვლით, გროშკაპეიკს ვერ დავაკლებთო, უთხრეს. მადლობას მოგახსენებთ კეთილი მეზობლობისათვის, მოახსენეს ჩვენებმა, და ისევ სახაზინო თეატრს მიმართეს და შეეფარნენ.

მაგრამ ვაი იმ შეფარებასა. შენობის ქირის გარდა თეატრს სხვა ქირაც ესაჭიროება, ასე რომ მთელი სათეატრო ქირა ორმოც თუმანს აღემატება თვითოეულს წარმოდგენაზე.

ახლა წარმოიდგინე, მკითხველო, რომ წრეულაც ქართველმა საზოგადოებამ ჩვეულებრივი გულგრილობა გამოიჩინოს და ქართულს წარმოდგენებზე ისევე ნაკლებად იაროს, როგორც აქამდე დადიოდა, რა იქმნება ამის შედეგი? სრული გაუქმება ქართულის თეატრისა. მთელი შემოსავალი ქირას ძლივს გაუძლევება და დასი დარჩება მთლად და სავსებით ხელ-ცარიელი, მშიერ-მწყურვალი. წინად დასი ქირას ან სულ არ იხდიდა, ან ძლიერ მცირესა. ახლა კი ორმოცი თუმანი ქირა წინადვე უნდა გადაიხადოს. ამაზე უარესი ტრაგიკული მდგომარეობა ძნელი წარმოსადგენია.

მაგრამ ამ სასოწარკვეთილების მდგომარებიდგან ადვილად შეგვიძლიან გამოვიყვანოთ ქართული თეატრი, თუ ჩვენ დაუდევრობას და გულგრილობას ვუღალატებთ... და უსათუოდ უნდა ვუღალატოთ, თუ ეროვნულის თეატრის გაუქმება არა გვსურს.

მე შეწირულება, სამადლო ლონისძიება არა მაქვს სახეში, როდესაც ამას ვამბობ. აქ საკმარისია სრულიად უბრალო, ჩვეულებრივი და ღირსეული ღონისძიება. საკმარისია, რომ მეტ-ნაკლებობით შემძლებელმა ქართველებმა აბონემენტი აიღონ ყველა ლოჟებისა და პირველის რიგის სავარძლებისა პარტერში, დანარჩენს ადგილებს ადვილად გაასაღებს ჩვეულებრივი სათეატრო პუბლიკა, რადგანაც ფასი ქართულის წარმოდგენის ბილეთებისა ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე რუსულისა, და იგივეა, რასაც ვიხდიდით წინად, როცა წარმოდგენები იმართებოდა დევერხანა თეატრში, რომელსაც მელპომენის ქართულს ტაძარს ვეძახდით და საიდგანაც ხშირად ავად-მყოფნი ვბრუნდებოდით შინა.

კვირაში ერთს საღამოს გავატარებთ მართლა მშვენიერ ხელოვნების ტაძარში, ვისიამოვნებთ ტკბილის ქართულის ენით, რომელიც გამძევებულია ყოველ გვარის დაწესებულებიდგან, დავსტკბებით ჩვენთა მსახიობთა ნიჭიერ თამაშით, ვნახამთ ერთმანეთს, მოვილაპარაკებთ დღიურს ვარმებზედ, გავაცოცხლებთ ერთმანეთს და ცოტათი მაინც განახლებულნი დავბრუნდებით შინა. და ამ სიკეთის შესაძენად დაგვჯირდება მხოლოდ თითო ოროლა მანეთი კვირაში მეტ-ნაკლებობით შემძლებელთა და თითო ოროლა აბაზი მეტ-ნაკლებობით ხელ-მოკლეთა.

გვახსოვდეს, რომ ყველა კერა ჩვენის ეროვნულის ცხოვრებისა ამ ჟამად თითქმის გაუქმებულია და შემაერთებელ ცენტრად დარჩენილია ერთად ერთი ეროვნული თეატრი, და ნუ თუ ეს კერაც უნდა ჩავაქროთ და გავაუქმოთ. მაშინ ხომ ცოცხალთა რიცხვიდან უნდა ამოვიშალოთ და მკვდართა თანა ჩავირიცხოთ?!

ნუ დავაყოვნებთ აბონომენტის აღებასა, ნუ დავუცდით დრამატიულის საზოგადოების გამგეობის მოწერილობასა. დავასწროთ მას ამ კეთილ საქმეში, ჩვენის ფეხით მივიდეთ, ჩვენის ხელით მივიტანოთ და ჩავაბაროთ საბონიმენტო ფული და ამ სახით მადლს მარილიც მოვაყაროთ.

ი. გარიანელი.

## წერილი
### რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! თქვენის გაზეთის 236-№-ში მე შევხვდი ჩემს ლექსს, რომელიც დაწერილი იყო გ. ერისთავის საიუბილეო დღესასწაულზე წასაკითხათ. მე ეს ლექსი არ გადმომიცია თქვენის პატივცემულ რედაქციისათვის დასაბეჭდათ, არც მითხოვნია ვისთვისმე მისი გადმოცემა. მგონი, რომ საჭირო იყო, თუ ამ ლექსის დაბეჭვდა გსურდათ, ავტორს შეჰკითხებოდით, ჰსურდა თუ არა «ივერიაში» მას თავისი ნაწერის დაბეჭვდა; ამასთანავე, ლექსის ბოლოში მთელი ერთი სტრიქონი მთლათ შეცვლილია, რაც ლექსს თვის ნამდვილს აზრს უცვლის.

გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ თქვენის პატივცემული გაზეთის უმახლობელეს ნომერში.

ი. ევდოშვილი.

**განმარტება.** ზემოდ მოყვანილ წერილიდან ნათლადა სჩანს ბ-ნ ი. ევდოშვილის უსაფუძვლო გაბუტება, მაგრამ მაგარი ის არის, რომ გაბუტებულს ავტორს არ სცოდნია, რომ სცენიდან საჯაროდ წაკითხულის დაბეჭდვას გაზეთში არავითარი ნებართვა არ სჭირიან, ცენზურის გარდა. ჩვენმა რეპორტერმა იმ საღამოსვე გამოართვა თავ. ნ. ერისთავს და კ. მესხს წაკითხული ლექსები სარეპორტერო ანგარიშში მოსაქცევად. ლექსების ავტორები სულაც არ იყო ხსენებული არც სცენიდან და არცა ხელნაწერებზე; რეპორტერმა კერძოდ შეიტყო ავტორების გვარი და მოიხსენია თავის ანგარიშში. ბ-ნი ი. ევდოშვილი კი, მადლობის მაგიერ, «რაღაც მოსაზრებით» გაბუტულა. რაც შეეხება ლექსის ერთის სტრიქონის შეცვლას, ეგ საყვედური უფრო ლექსის წამკითხველს ეკუთვნის. ახირებული პრეტენზია, თუ გნებავთ, სწორედ ეს არის!

## დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

### დილის დეპეშები.

18 ოქტომბერი.

**შანჰაი, 17** ოქტომბერი. (რეიტერი). ჩინეთის მთავრობასთან შეთანხმებისამებრ, კაპიტანი როშჩაკოსკი, ნაღმოსან «რეშიტელნი»-ს კომანდირი, მიდის ჩიფუდან, სადაც ის იყო ნაღმოსანის დაკავების შემდეგ, გერმანიის გემით შანჰაის. ამბობენ, იაპონელნი ამ განზრახვას წინააღუდგებიან იმის გამო, რომ «ვარიაგისა» და «კორეეცის» მეზღვაურთაგანნი ბალტიის ესკადრაში არიანო.

**ვაშინგტონი.** (რეიტერი). პორტ-არტურის წინ იაპონელებმა დასდგეს ძალიან მძიმე საალყე ზარბაზნები, რომელიც ტოკიოს სიმაგრეებიდან გადმოიტანეს. ეს ზარბაზნები ისე შორს მიდის, რომ ყველა ზარბაზნებს, რაც კი აქნამდე იყო ციხის წინააღმდეგ, ბევრით აჭარბებს. ამათ გადატანას დიდი მნიშვნელობა აქვს. სჩანს, იაპონელებს იმედი აქვთ ციხის აღებისა ამ ახლო მომავალში.

**ტოკიო, 15** ოქტომბერი. (რეიტერი). იაპონელმა ფინანსისტებმა განსაზღვრეს, თუ რა მოუნდება ლაშქარს შესანახად. იმათ იმედი აქვთ შეკრიბონ 770,000,000 იენი შემდეგის წყაროებიდან: 55 მილიონს შეადგენს სამხედრო ხარჯები, რომელიც უკვე შემოდის, 550 მილიონს მოგვცემს ვალიო. შემოვა ახალი გარდასახადი მარილისა და აბრეშუმეულებისა. განზრახვა აქვთ მოუმატონ ბაჟი მიწას, კომერციულ დაწყობილობიდან და სხვა ამგვარებიდან. ჰგონიათ, რომ პარლამენტი მოიწონებს ამ პროგრამას.

**სოფია, 17** ოქტომბერი. რუსეთის მისიის სახლში გადაიხადეს პარაკლისი აწ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III და ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ მე-II-ის გადარჩენის გამო ბორკაში. პარაკლისს დაესწრნენ მეფე სერბიისა და მთავარი ბულგარიისა.

**მუკდენი.** (საკ. კორესპ.). 16 და 17 ოქტომბერს შენიშნეს, რომ დიდძალი იაპონელთა ჯარები და ბარგი მიდის აღმოსავლეთისაკენ. მთელს ფრონტზე მუშაობაა სიმაგრეების ასაგებად. 13 ოქტომბერს ძალიან ხშირი ზარბაზნის სროლა იყო პუტილოვის გორაკის წინააღმდეგ.

**ვიგო.** (ჰავასი). ორი აფიცერი რუსისა წავიდა მადრიდს.

**ნაგასაკი.** (რეიტერი). წუხელ მოჯში იმ დროს, როდესაც გემს «ოდიოდამარუს» უნდა გადმოეღო ნაღმი, ის გასკდა. 10 კაცი მოკვდა და ბევრი დაიჭრა. გემი ძალიან დაზიანდა.

**ტოკიო.** (რეიტერი). გემმა „ჩიოდამარუ"-მ ჩიფუსთან ნახა მცურავი ნაღმი და მოჯს მიიტანა. საკანონერო ნავმა „იამატომ" გაგზავნა ნავი მისაღებად. როცა უნდა გადმოეღოთ, გასკდა, ნავი კი ჩაიღუპა. გემი „ჩიოდამარუ" დაზიანდა. რამოდენიმე კაცი დაიჭრა.—ურჩევენ სავაჭრო გემებს, პეჩილიის ყურეში მოერიდონ ნაღმებს, რადგანაც ქარიშხლის დროს რუსის ნაღმები ღუზიდან აიგლიჯებიან ხოლმე და დაცურავენ.

**ლონდონი.** (რეიტერი). ოკუს ლაშქრიდან იუწყებიან, ორთავ ლაშქრები ერთიერთმანეთის პირდაპირ სდგანან. გუშინდამ ძალუმად ესროდნენ იაპონელების მარცხენა ფრთასა, მაგრამ შესამჩნევი ზარალი ვერ მიაყენეს. სროლა მთელი დღე იყო. ორთავე ლაშქარი სატევ მოქმედებას ადგანან. ხალხი თხრილებშია დღე და ღამე.

**მუკდენი.** (რეიტერი). პატარა ხნის სიმშვიდის შემდეგ, 17 ოქტომბერს, ღამე, იქუხა სამხრეთ-დასავლეთისაკენ დიდმა ზარბაზნებმა. სროლამ 18 ოქტომბრამდე გასტანა. იაპონელნი შახეს სამხრეთ-აღმოსავლეთად გავიდნენ. ამ კვირია დიდს ბრძოლას ელიან.

19 ოქტომბერი

**ჩიფუ, 18** ოქტომბერი. (რეიტერი). საერთო იერიში პორტ-არტურისა, რომელიც 11 ოქტომბერს დაიწყეს იაპონელებმა, საოცარ გაათრებულ ბრძოლად გადაიქცა, რომელმაც მთელ დღეს გასტანა. როგორც იუწყებიან, იაპონელებმა დიდის ძალით მიიტანეს იერიში ციხეზე. შედეგი 17 ოქტომბრის ბრძოლისა ჯერ არ იციან; ამ დროს მესამედ სცადეს ციხის იერიში. ეხლა იმედი არა აქვთ აღებისა, მაგრამ შესამჩნევი ნაბიჯი კი წარსდგეს წინ. ეხლა ისე აღარ მიდიან იერიშით, როგორც უწინ. გამოცდილებამ სხვა გზა უჩვენა. ეხლანდელის იერიშისათვის მთელი კვირეები ემზადებიან, აკეთებენ თხრილებს, სდგამენ ზარბაზნებს და ამგვარად მიიწევენ წინ. სპეციალისტები ფიქრობენ, იერიში მაშინ შესწყდება, როცა იაპონელნი დაიჭერენ პოზიციებსა, რის წყალობითაც დაუახლოვდებიან ციხეს სროლის მანძილზე. კიდევ ორი საერთო იერიში მოხდება ახლო მისასვლელად; მაშინ იაპონელები მოახერხებენ, რომ უმთავრესი ფორტები აიღონ და მით გაათავონ ალყა.

**ლონდონი.** (რეიტერი). დღისით გარეშე საქმეთა სამინისტროში კაბინეტის სხდომა იყო.

**კელნი** (ვოლფი). სათევზაო გემის «ზონტგოს» პატრონმა, რომლის გემსაც ბალტიის ესკადრამ ესროლა, რუსის მთავრობას ზარალზე უჩივლა.

**მადრიდი.** (ჰავასი). გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, გულის შემთხვევის გსარჩევად ვიგოში შეიყრებიან რუსის, ინგლისის, გერმანელების და საფრანგეთის აფიცრები, როგორც საერთაშორისო კომისიის წევრნიო.

### საღამოს დეპეშები.

**ლონდონი, 18** ოქტომბერი. (რეიტერი). რუსთა და დიდ-ბრიტანიის შორის დაწესებული იქმნება განსაკუთრებული კონვენცია საერთაშორისო საგამომძიებელო კომისიის დადგენისა და იმ ფაქტების დასამტკიცებლად, რომელმაც ჩრდილოეთ ზღვაში ინციდენტი გამოიწვია. კომისიის მიერ შემუშავებულს ყოველსავე წესს ფრთხილად გასინჯავენ. იმედი აქვთ, რომ ძლიერ ჩქარა მოაწერენ ხელს კონვენციას. კომისიაში მოწვეულ იქმნებიან ნეიტრალურ სახელმწიფოთა უზენაეს სასამართლოების მოხელენი, კონვენციაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საზღვაოსაქმეთა სპეციალისტებიც. როდესაც ამ საქმეზედ ვიგოსა და გულში გაათავებენ პირველს გამოძიებას რუსეთისა და ინგლისის წარმომადგენელნი, ორისავე მხრის რწმუნებულნი საერთაშორისო კომისიას მოახსენებენ საქმის გარემოებას და, როდესაც მოწმეთა ჩვენება საჭირო გახდება, ორივე მხარე მიიღებს მონაწილეობას ჩვენების ჩამორთმევაში. ჯერ არ არის ნაჩვენები ის

---

ნათელს ჰფენს და ოდნავ მბჟუტავ ვარსკვლავივით გამოიყურება ამ საერთო სიბნელეში, არ შეგვიძლია ვაკუთნოთ ბ-ნი ია ეკალაძე, თუმცა იმავე დროს ისიც არ შეიძლება ითქვას, რომ ის იმ უმრავლესობას ეკუთვნოდეს სავსებით, რომელსაც ზევით ლიტერატურული «მეტი ბარგი» ვუწოდეთ, ასე რომ, მას უჭირავს რაღაც საშუალო ადგილი, რომელზედაც შრომა, თუმცა მთლად უმნიშვნელოდ არ ჩაუვლის, მაგრამ იმავე დროს ვერც არაფერ დიდ ალაგს დააკავებიებს მას ქართულის ლიტერატურის ისტორიაში. ის (ეკალაძე) მცირე მნიშვნელობით მოვლენილია ან მცირედვე ჩაბარდება ისტორიას მომავალში მალე დავიწყებისას. მხოლოდ დღეს კი იმ მკითხველისათვის, რომელსაც მშრომელი ხალხი ჰქვიან, ეკალაძე არ რჩება უმნიშვნელოდ. ამისი მიზეზი ის კი არაა, ვითომც ის ძლიერი იყოს თავისის კალმით და მშრომელის ხალხისათვის საინტერესო მოვლინებას რეალურათ გვიხატავდეს, არამედ უფრო ის, რომ ეს მშრომელი ხალხი თავისის შეგნებით იმდენათ დაბლა სდგას დღეს, რომ ეკალაძის ნაწერებს ვერ გასცილებია, მას პატივს სცემს, რადგან ისე აფასებს, რომ იქ ნახმარი პტყელი სიტყვები, მაღალი ფრაზები—საგოგმანებელ მარგალიტებათ გახდომია, მხოლოთ სიტყვები იზიდავს ჯერ ამ ხალხის ყურადღებას, ლამაზის ფრაზებით შეიძლება მისი მოხიბლვა, მისის ყურადღების დამსახურება. ის მაღალის სიტყვების სროლითაც კი შეგიყვარებს დღეს, რადგან ამის მეტი მომზადება საზოგადოთ ჯერ არა აქვს მას, მხოლოთ საქმე ყველაზე წინ, საქმე და არა ფრაზების რახიარუხი, საქმის მიხედვით ადამიანის დაფასება, ჯერ კიდევ არ შეუძლიან; ესეთი შეხედულება შემდეგ საფეხურს ეკუთვნის, საფეხურს ხალხის მეტათ გათვითცნობიერებისას, გონების მეტათ განვითარებისას და სალის შეხედულებისას; ამ მეორე გზისაკენ მიექანება დღეს ქართველი მშრომელი ხალხი, პირველი გზიდამ ჯერ ის არ გადმოსულა სავსებით; ამიტომაცაა, რომ ეკალაძე იმათთვის შესაძლოა საყვარელი მწერალი იყოს, მხოლოთ როცა ამ გზიდამ მეორეზე შესდგება, მაშინ ეკალაძეები დაჰკარგვენ მათს თვალში მნიშვნელობას, მისგან გამოხატულ გმირებს, მხოლოთ სიტყვების მორახა-რუხეს, ხალხის გული ისე აღარ მიილებს, რადგან მაშინ ის დააფასებს ჭეშმარიტ საქმის მოყვარულ ადამიანებს, საქმეს დააყენებს სიტყვაზე წინ და საქმეს უფრო შეიყვარებს, ის, ეკალაძის ბედენაძეები, ქებაშვილები, ტიმოთეები, აღარ გაიტაცებს მას, არც ისე შორსაა ეს მომავალი! ჩვენი ხალხი ახლა იწყებს „სულიერ" ცხოვრებას, ახლა იგნებს, «რომ არა პურითა ერთითა ცოცხალ არს კაცი», ეხლა ილვიძებს თანდათან მასში სულიერი მოთხოვნილებანი, ამისთვის კი სულ უბრალო და მცირე საშუალებაც რომ მიაწოდოთ, მაინც მიიღებს, გაეტაცება, სიტყვებიც კი აღძრავენ მასში კეთილშობილურ გრძნობებს, იმიტომ, რომ ის პირველ საფეხურზე სდგას და ახალი ცხოვრება სწყურია აქეთკენ, და სიტყვებითაც რომ მიუთითოთ, მაინც აღელდება; მაინც დაგაფასებსთ, ბრძოლა, ერთობა, სიყვარული, სიმართლე, თავისუფლება,—ეს იმისთვის ახალი სიტყვებია, ამის გასაგებათ გული უცემს მას და ვინც უნდა წარმოსთქვას, რა ადგილზედაც უნდა იხმაროთ, ხალხს ესიამოვნება, სიხარულით ეგებება, მიუხედავად იმისა, სად ან ვინ ხმარობს მას; ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ცოცხალ ფაქტს: წარსულ 1903 წ. ერთ ჩვენის ქალაქის თეატრში სახალხო წარმოდგენა გაიმართა, „მშრომელი ხალხიც» ბევრი დაესწრო. სხვათა შორის, სცენაზე არტისტმა შემდეგი სიტყვები ვამოურია (მგონი გენ. რუჟიანიძის როლია) «ჰაი, თქვე სოციალ-დემოკრატებო»-ო. მაშინვე ასტყდა ტაშის კვრა მუშებში. მე ძლიერ გამიკვირდა თავიდამ და შემდეგ კი დავრწმუნდი, რომ ამ სიტყვის «დემოკრატები»-ს ხმარებამ გამოიწვია ტაშის კვრა (მიუხედავათ იმისა, რომ ამ სიტყვას გენერალი გასაკიცხავათ ხმარობს); მაშასადამე, ეკალაძე აგვიწერს რა ზოგიერთს გმირებს, სიტყვებით სიმპატიურს, მხოლოდ საქმით-კი არაფრის შემქმნელს და უპირდაპირებს რა დღევანდელი ცხოვრების გარყვნილ პირობებს საბრძოლველად, სარგებლობა მოაქვს ორივე მხრის დასურათებით, რამდენათაც ეს მისმა სუსტმა კალამმა შესძლო, იმ ქართველი საზოგადოების ერთის ნაწილისათვის, რომელსაც მშრომელ ხალხი ეწოდება. ეკალაძის ბედენაძეები, ტიმოთეები, ინტერესს აღუძრავს ჩვენ ხალხს მეტი ცნობიერებისაკენ გზის გასაკაფათ და რამდენათაც ხელს უწყობს ეკალაძე თავისი ნაწერებით მას, იმდენათ სასარგებლოა და მნიშვნელოვანი, მხოლოდ უმნიშვნელოა იმ მხრით, რომ აქ არაა ისეთი რამ, რომელსაც შეეძლოს ყურადღება მიიქციოს იმ საზოგადოებისა, რომელიც თავისის განათლებით ბევრათ მაღლა სდგას ქართველებზე საზოგადოთ და ჩვენებურ მუშა ხალხზე კი კერძოთ. მიუხედავად იმისა, რომ ბ. ეკალაძე თავის გმირებს ვერც ერთს სავსებითი სინამდვილით ვერ ახასიათებს და სრულ ტიპებს ვერ გვიხატავს, ვერც გარყვნილს და ვერც კარგს, ვერც გლეხის ცხოვრების სურათებს აგვიწერს სისრულით და ყველა საერთოთ აჩრდილებს უფრო წარმოადგენს, ვინემ სრულ სინამდვილიდან გადაღებულ სურათებს, მიუხედავად ამისა, ვიმეორებ, ის მაინც საინტერესოა ჩვენის მშრომელის ხალხისათვის და თუ ამ უკანასკნელს უყვარს ეკალაძე, ეს ჩვენ ბუნებრივ აუცილებლობათ მიგვაჩნია, ეს ასეც უნდა იყოს, რაიცა ამ ხალხის გემოვნების სიწამხდრესა და გაფუჭებას სრულიათაც არ მიეწერება, როგორც ეს პატივცემულ «კრიტიკოსს» ბ. ზანგს ჰგონია. ეკალაძის ნაკლულევანება იმაში კი არ არის უფრო, რომ ის სინამდვილეს არ ეხება, არამედ იმაში, რომ მას მხატვრული ნიჭი სუსტი აქვს, რითაც შეუძლებლად უხდება ცხოვრების სურათების მთელის სინამდვილით დახატვა; ის, ასე ვსთქვათ, არაა ბელეტრისტი-რეალისტი სრული, მას არ შეუძლიან დახატოს კარგი თუ ავი მოვლენა ისე, რომ სასტიკათ შეგაყვაროს ერთი და სასტიკათ შეგაძულოს მეორე, იმას შეუძლია მხოლოდ რაოდენიმეთ იმოქმედოს მკითხველზე და გამოიწვიოს მასში სუსტი სიმპატია ანუ ანტიპატია თავის გმირებისადმი. მაშასადამე, სუსტი რეალიზმის მიმდევრობა და არ სავსებითი უარყოფა რეალიზმისა—აი რას წარმოადგენს ეკალაძის ნაწერები და სცდება ბ. ზანგი, როცა ამბობს, რომ თითქოს ეკალაძის გმირებს სინამდვილესთან კავშირი არა ჰქონდესთ, თითქოს ეკალაძის უძლურნი ინტელიგენტნი სულ სხვაა და «აქ ჩვენის ინტელიგენციის უძლურება სულ არაფერს შუაშიაო». შინაარსის მხრით თხზულებანი ახალს არაფერს წარმოადგენს საზოგადოთ, და ასე პატარა შინაარსის საგნებზე ამდენი ლაყბობა, ამდენი მრავალ-სიტყვაობა და ნამდვილი ფაქტის კიდევ აღუდგენლობა ნიშანია ეკალაძის შემოქმედებითის ნიჭის სისუსტისა და ამ მხრით შედარებაც არ შეიძლება მისი იმ ბელეტრისტებთან, რომლებიც ახალის სოციალურ ცხოვრების მწვავე საკითხებს ეხებიან, უფრო კონკრეტულათ ხატავენ სურათებს და რომლებმაც ახალი გზა გაჰკაფეს ჩვენს დღევანდელის დროის ლიტერატურაში (ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი, ლალიონი). ეკალაძის ნაწერებში ვერ შეხვდებით ვერც ერთს ახალ საკითხს, ვერც ერთს ახალ ტიპს, რომელიც ათასჯერ უკეთესათ არ იყოს დასურათებული სხვა ერის ლიტერატურაში, ამიტომ განვითარებულის მკითხველისათვის ეკალაძის ნაწერები ძრიელ მოსაწყენი საკითხავია, აკლია მათ ცხოვრების ღრმა დაკვირვება, მტკიცე ანალიზი, ყველგან პატარა საკითხები, პატარა საგნები და ამბები, ამათზე კი ბევრი ლაპარაკი მკითხველს თავს აბეზრებს და მგონი ბევრსაც გაუჭირდეს მისი ბოლომდისინ გადაკითხვა. თავის მრავალ ნაკლულევანებებთან ეკალაძეს აქვს თავისი ღირსებაც და ეს ხელს არ უშლის ვიწრო ცნობიერების მკითხველს გაეცნოს მას და შესაფერად დააფასოს ის. დასასრულ, თუმცა ამ ათის წლის განმავლობაში ბ. ეკალაძის სამწერლო ნიჭი არაფრათ არ განვითარებულა, რაიცა ატყვია მის ნაწერებს, ჩვენ მაინც ვუსურვოთ, მკითხველო, ეკალაძეს მეტი განვითარება, როგორც ახალგაზდა მწერალს, რომ მომავალში შესძლებოდეს ისეთის კითხვების წამოყენება და დასურათება, რომლითაც დაემჩნიოს წაუშლელი კვალი ქართულის ლიტერატურის ისტორიაში.

[illegible]

ადგილი, სადაც კომისია უნდა შეიკრიბოს.

**ალჟირი**, 18 ოკდომბერი. (ჰავასი). დღეს ტანჟერიდგან მოვიდნენ კონტრნაღმოსნები «ბედოვი», «ბრავი», და «ბისტრი». ამათ შეივსეს სურსათი და ნახშირი და მოუცდიან ბრძანებას.

**ტანჟერი**, 18 ოკდომბერი. (ჰავასი). მაროკკოელებმა ნება დართეს ნავს, რომ მიეშველოს რუსის გემებს ნახშირით დატვირთვის დროს.

**პეტერბურგი**. მანჯურიის პირველ ლაშქრის სამხედრო შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი სახაროვი დაინიშნა ხმელეთისა და საზღვაო ყველა ჯარების მთავარ-სარდლის შტაბის უფროსად.

**ჩიფუ**, 18 ოკდომბერი. (რეიტერი). იაპონელები გულ-მოდგინედ მოემზადნენ და 11 ოკდომბერს დაუშინეს ზარბაზნები მთლად პორტ-არტურს. ჩვეულებრივ ნავთ-სადგურსაც ესროდნენ. რუსნი პასუხს აძლევდნენ. გამძვინვარებული სროლა ზარბაზნებისა 13 ოკდომბრამდე არ შეწყვეტილა. 13 ოკდომბერს შუადღისას რუსთა ზარბაზნები იტშიინის, ანცუშანისა და ერლუნშანისა პატარა ხანს ჩაჩუმდნენ. 4 საათზედ იაპონელთა ერთი პოლკი გამოჩნდა სერს იქიდან. ეს სერი ამას წინად აიღეს. ერლუნშანის მახლობლად პოლკმა იერიში მიიტანა რუსთა თხრილებზედ, ერლუნშანსა და რკინის გზას შუა და ბრძოლის შემდეგ დაიჭირა ეს თხრილები. რუსნი მედგრად იგერიებდნენ მტერს. როცა ბოლოს მტერნი დაუახლოვდნენ ერთმანეთს რამდენსამე მეტრზედ, დაუწყეს ერთმანეთს ყუმბარების სროლა ხელითა. იაპონელთ აქვთ პატარა მანქანები და იმას ხმარობენ ყუმბარების სასროლად უფრო მეტის სისწრაფით. იაპონელთა მეორე რაზმმა ამავე დროს მიიტანა იერიში იმ სანგრებზედ, რომელიც ერლუნშანის ფერდობებზეა. იქვეა იაპონელთა რამდენიმე საფარიცა. უკან დახევის დროს რუსებმა სროლა დაიწყეს ლაოტეშანიდან და ღამე ციხიდან გამოუცვივდნენ მტერს, მაგრამ იაპონელებმა უკუ აქციეს ტყვიის მფრქვეველთა წყალობით. გემებიდანაც ესროდნენ ზარბაზნებს პორტ-არტურს. ჯერ არ იციან, რა შედეგი მოჰყვა ამ ბრძოლას. 16 ოკდომბერს დიდი ბრძოლა იყო ერლუნშანსა და ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს შორის. ნიუ-ჩუანიდან მოსული გემი ამბობს, რომ ისმოდა ძლიერი გრგვინვა ზარბაზნებისა პორტ-არტურიდან გუშინ-ღამ და დღესაო.

**მუკდენი**, 18 ოკდ. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც რუსთა შუა-გულ ლაშქარშია, იუწყება, რომ იაპონელთა მოძრაობას იქ, სადაც ვაკე უახლოვდება სერებს, დიდი მნიშვნელობა ეძლევაო. რუსნი უმაგრდებიან ისეთის მხნეობით, რომ სწორედ ამ ადგილას არის ახლა საქმე საშიში და გასაჭირი. მანძილი რუსთა და იაპონელთა შორის 500 მეტრია. ორი ლაშქარი ეპირება ეკვეთოს ერთმანეთს და ისე მოქმედობს, როგორც ალყის შემორტყმის დროს, იაპონელებმა იმითი გადაუხადეს თავისის დამარცხებისათვის პუტილოვის გორაკაზედ, რომ მეორე კლდიდან გააძევეს შახეს სამხრეთად, ფინჟაპუს პირდაპირ. თუმცა რუსებმა 60% დაჰკარგეს თავიანთის რიცხვისა 14 ოკდომბრის ბრძოლაში დღისით, მაინც იაპონელებმა რუსნი უკუ-აქციეს მხოლოდ ღამე. სიმაგრეს იაპონელებმა აღებისათანავე თავი დაანებეს. ყოველ ღამე ბრძოლაა. თოფისა და ზარბაზნის სროლა განუწყვეტლივაა. იაპონელებს მაშველი ჯარი მოუვიდათ, $1^1/_2$ დივიზია, რომელიც პორტ-არტურიდან წამოსულა. საფიქრებელია, რომ რამდენისამე დღის შემდეგ დიდი ბრძოლა მოჰხდება. ყოველი მოძრაობა ერთს ლაშქარში იწვევს შესაბამს მოძრაობას მეორეში. დასავლეთ სოფლებიდან კვლავ ილტვიან მცხოვრებნი. მუკდენი კი ისე აღარ არის ხალხით სავსე, რადგან ბევრი შეშინებული კვლავ დაუბრუნდა თავის ოჯახსა და კერას.

**ჩიფუ**, 18 ოკდომბერი. (რეიტერი). პორტ-არტურის აწინდელ მდგომარეობაზედ ტყვე-რუსნი სხვა და სხვა ნაირ ამბებს იუწყებიან, მაგრამ მათ ნათქვამიდგან საერთოდ ის გამოდის, ყველას იმედი დაუკარგავთ, ვინაიდგან სტესსელი, მეციხოვნეთა გასამხნევებლად, ძლიერ ხშირად ამბობდა,—ჩქარა ბალტიის ფლოტი მოვა და გენერალი კუროპატკინი ალყას ახსნის ციხესაო. ამ იმედების გაცრუებამ დიდად იმოქმედა მეციხოვნეებზედ. სტესსელმა განაცხადა, თუნდ ათასი კაციც რომ დამრჩეს ცოცხალი, მაინც არ დავმორჩილდებიო. რადგანაც ყუმბარებს განუწყვეტლივ უშენენ, რუსის გემები ხშირად იცვლიან ადგილებს. 24 სეკდემბრიდგან «რეტვიზანსა», «პოლტავასა» და «პერესვეტს» ხშირად ჰხვდება ყუმბარები.

„რეშიტელნის“ მეზღვაურნი შანჰაიში შეუერთდებიან „ასკოლდის“ მეზღვაურთ. ცინდაოში დიდის სიჩქარით აკეთებენ დაზიანებულ „ცესარევიჩს“.

ოფიციალურის ცნობებით, იაპონიის ჯავშნიანი გემი «იაშიმა» დიდი ხანია დაღუპულა.

ამ ერთის კვირის წინად ორმა პატარა გემმა, რომელზედაც საფრანგეთის დროშა იყო აღმართული, გაარღვია ალყა და სამხედრო სურსათითა და ნუზლ-სანოვაგით შევიდნენ პორტ-არტურში.

**პეტერბურგი**. ოფიციალურად. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა, 19 ოკდომბრის თარიღით: «18 ოკდომბერს მოხსენებანი ბრძოლის შესახებ არ მოსულა. ამას უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითს უდიდებულესობას».

დეპეშა გენერალ-ლეიტენანტის სახაროვისა მთავარ შტაბს, 18 ოკდომბრის თარიღით: «17 ოკდომბერს ჩვენს მარჯვენა ფრთაზედ თავგამოდებულთა, რაზმმა და ორ-ნახევარმა ასეულმა დაზვერა სოფ. სანძიანის სამხრეთით მდებარე მთა, სამხრეთ-დასავლეთის გზაზედ. ჩვენი რამბი შეეხეხა მტრის ქვეითა ჯარის ერთს როტასა და ესკადრონს. იაპონელნი მთიდგან განდევნილ იქმნენ და ჩვენმა რაზმებმა გულმოდგინებით დაზვერა მდ. ხუნხეს მარცხენა ნაპირი, სოფ. ფუტეადუანძის გზაზედ. ფუტეადუანძიდანა და მახლობელ სოფლებიდგან მტერი განდევნილ იქმნა ზარბაზნების სროლითა და ეს სოფლები ჩვენ დავიჭირეთ. მტერმა უკან დაიხია, მაგარი ადგილი დაიჭირა და ორის მხრივ დაუწყო სროლა ჩვენს ზარბაზნებს. ყაზახთა ასეულმა ესაულ კოსიროტოვის უფროსობით შეუტია მტერს. ერთი ნაწილი ეცა სანგრებს მეორეს წინ დაუხვდა მავთულის ღობე და უკან დაიწია. ასეულს 40 ყაზახი დაუჭრეს და მოუკლეს. რამდენისამე ტყვიით დაიჭრა ესაული კოსიროტოვი. ჩვენმა ცხენოსანთა რაზმმა გაიგო მტრის ძალა მის საფარ-სანგრების ვითარება და დაბრუნდა უკან.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

**პეტერბურგის ბირჟა**
15 ოკდომბერს 1904 წ.
ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . | 94,25 |
| ბერლინში ,, . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში . . ,, . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—$7^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | $91^7/_8$ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 89 მყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 415 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 319 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 266 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . | — |
| $4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . | $89^1/_2$ ნ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

## ს ი ა

ტფილისის ქალაქის სასანიტარო-აღმასრულებლ კომისიაში ჩარიცხული ექიმებისა, რომლებმაც უფასო სამკურნალო დახმარება უნდა გაუწიონ ღარიბ ავად მყოფთ

ავადმყოფმა უნდა მიჰმართონ საექიმო დახმარებისათვის რომელსამე ქვემოდ-აღნიშნულ ექიმთაგანს, მაგრამ სასურველია მიჰმართონ უფრო მახლობლად მყოფს.

**ალადაშვილი**, ალექსანდრე სტეფანეს ძე. იღებს ავადმყოფებს დილით 7 საათ.—9 საათ. საღამოთი 8 საათ.—9 საათ.

ადრესი: ეგზარხოსის მოედანი, სინოდალურ კანტორაში.

**გედალინი**, ალექსანდრე გიორგის ძე, 10 საათ.—$11^1/_2$ საათ. (ცენტრალურ სამკურნალოში), საღამოთი 5 საათ.—7 საათ. სახლში, ბარონის ქუჩა, ავეჯეულის რიგი. სახლი თამამშევისა № 16.

**გეცელი**, ოტტო გიორგის ძე. დილით 7 საათ.—9 საათ., საღამოთი 7 ს.—9 საათ.

მიხეილის ქუჩა, მიხეილის საავადმყოფოს შენობაში.

**ჯანიბეგოვი**, ესტატე ნიკიტის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 7 ს.—9 ს.

სოლოლაკში, ამაღლების ქუჩა, სახლი № 17

**ელჩიევი**, მნაცაკან რომანოზის ძე. დილით 7 ს.—9 ს., საღამოთი 5 ს.—7 ს.

მიხეილის ქუჩა, სახლი № 111.

**ზაბლუდოვსკი**, იოსებ მათეს ძე. დილის 10 ს.—$11^1/_2$ ს. (კუკიის ქალაქის სამკურნალოს განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—8 ს., სახლში:

გრიბოედოვის ქუჩა, სახლი № 40

**კასუმოვი**, ნიკოლოზ გერასიმეს ძე. დილით 10 ს.—$11^1/_2$ ს., (ქალაქის სამკურნალოს კუკიის განყოფილებაში), საღამოთი 5 ს.—7 ს.

ალექსანდრეს ქუჩა № 36.

**მირზაევი**, მიხეილ ივანეს ძე. დილით 7 ს.—9 ს. საღამოთი 7 ს.— 9 ს.

კრასნოგორსკის შესახვევი № 8.

**საათსაზოვი**, ივანე თომას ძე. დილით 8 ს.—9 ს., საღამოთი 4 ს.—5 ს.

ალექსანდროვის ქუჩა № 6.

**თათევოსიანი**, ტიგრან მათეს ძე. დილით 9 ს.—1 ს. (ქალაქის სამკურნალოს ხარფუხის განყოფილებაში), 86 ს.—საათ. საღამოთი სახლში.

კრწანისის ქუჩა, სახლი თაიროვისა № 11

**ხატისოვი**, ნიკოლოზ დავითისძე. დილით 7 ს.—8 ს. და საღამოთი 4 ს.—6 ს. აგრეთვე დილით 10 ს.—12 ს. სამკურნალოს ავლაბრის განყოფილებაში.

ბებუთოვის ქუჩა № 27.

**შახ-აზიზოვი**, არტაშეს ივანეს ძე. დილით 10—12 ს., საღამოთი $7^1/_2$—$8^1/_2$ ს. გონჩარნი ქუჩა, № 30 (ჩუღურეთში).

**შჩერბინინა**, ანნა ივანეს ასული. დილით 10—12. (ქალაქის სამკურნალოს დიდუბის განყოფილებაში), საღამოთი 4—6 ს. სახლში,—ბაქოს ქუჩა, სახლი № 7.


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში**,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.



რ ო ი ა ი ლ ე ბ ი პ ი ა ნ ი ნ ო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პ რ ე ი ს კ უ რ ა ნ ტ ე ბ ი
მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.
МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНЯНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.
(25—6—18)

ახალი გამოცემანი „წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა“
1905 წ.

1) **საქართველოს კალენდარი**

კალენდარში ჩვეულებრივ მოთავსებული იქნება, გარდა საკალენდრო ცნობებისა, სალიტერატურო განყოფილებაც. კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით (სხვათა შორის იაპონიურის სურათებით).—კალენდარი გამოვა გასაყიდად ნოემბრის დამლევს და ეღირება 70 კაპ.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად:
ფასი—თავში ერთი გვერდი ღირს—10 მან., ნახევარი—6 მან.
წიგნის ბოლოში—ერთი გვერდი ღირს 6 მან., ნახევარი—4 მან.

განცხადებები მიიღება ტფილისში, „საზოგადოების“ კანცელარიაში და იოს. მერკვილაძესთან, ქუთაისში ვას. ბეჟანიშვილთან და ბათუმში სპ. ჭელიძესთან.

2) 15 ნოემბერს გამოვა გასასყიდად ჯრცელი

**კედლის კალენდარი**

კალენდარი შეიცავს მრავალს საისტორიო, საბიოგრაფიო, სტატისტიკურ და სხვა ცნობას.

**ფასი** 50 კაპ. (6—1)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

**„ნაკადული“**

**სურათებით.**

გამოიცემა მცირეწლოვან და მოზრდილ ყრმათათვის თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

**პ რ ო გ რ ა მ მ ა:**

1, მოთხრობა და ლექსები. 2, ისტორიული და სამეცნიერო პოპულიარული წერილები, ბიოგრაფია, მოგზაურობა. 3, აღმოჩენა-მოგონებათა ქრონიკა. 5, ნარევი: მოსწრებული სიტყვა-პასუხი და ანეგდოტები, 2, სათამაშონი, გასართობი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საყმაწვილო კარიკატურები და სხვ. 6, პედაგოგიური წერილები, 7, მკითხველთა წერილები, 8, ფოსტის ყუთი და 9, განცხადებანი.

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში **5** მან. ცალკ-ცალკე 3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა რედაქციაში.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. / ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზედ, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიმ ივანეს ასულის დემურიასი.

**ხელის მოწერა მიიღება**: რედაქციაში, წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

**ფოსტის ადრესი**: Тифлисъ. Редакція журн. „НАКАДУЛИ“.

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილის 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

**ღ ა ლ ა ტ ი**,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

**ქართული რუკა**

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და დამშვიდებული იყვეთ **იყიდევით**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ ანიშნებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხეება კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრეთვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე არ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთ. შეიძლება ფოსტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

ბ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ა.
(5—6—)


Дозволено цензурою Тифлисъ 19 октября, 1904 г.
Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи